კვირა, 21 თებერვალი 1910 წ. № 16

# სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი „ახალი სხივი" ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურად: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ., სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი ამაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტი—15 კაპ. [illegible] სამგლოვიარო განცხადება [illegible] სადამს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. [illegible]

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ახალი სხივი"

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთი ღირს: თფილისში და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ. [illegible] სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., [illegible] 2 მ. 50 კ., [illegible] თფილისში 80 კ. [illegible] 90 კ.

ხელის მოწერა მიიღება: [illegible]

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 6 [illegible]

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома", Калистрату Конст. Чуладзе.

[illegible]

## „კავკასიის ესპერანტისტი"

[illegible]

ხელის მოწერა მიიღება: 1) მიხაილოვის ოლს. № 98 მმ. ჰაჯიევების მაღაზიაში, 2) პუშკინის პასაჟი, ს. სოლომონიანცის ცინკოგრაფიაში, 3) კვირაობით, 11—12 საათ. 1-ლ სავაჟო გიმნაზიაში.

წლიწადში 1 მანეთი.

სხვა ქალაქებიდან: Тифлисъ, Панасевича ул. № 1, Айку Тер-Аствацатрянцу.

წარმოდგენა 37 **ქართული თეატრი** წარმოდგენა 37

კვირას, 21 თებერვალს 1910 წ.

ბენეფისი ვლ. ალექსი-მესხიშვილისა

ქართული დრამ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ლევ ტოლსტოისა

## „შავი ბედი"

დრამ. 4 მოქმ. თარგ. ლ. ალექსი-მესხიშვილისა.

**მონაწილენი:** ქ-ნნი მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა ნ. ჯავახიშვილი ჰ. შოთაძე.—ბ-ნნი: ვლ. ალ.-მესხიშვილი, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, გ. იმნლი, ი. ივანიძე, მურვანიშვილი, ვ. მატარაძე, ი. ყიფიძე.

ამ წარმოდგენაზე კონტრმარკები არავის არ მიეცემა.

ბილეთები ვლ. ალექსი მესხიშვილის უმტკიცელოთ მალას ჰკარგავენ.

ადგილების ფასები საბენეფისოა — დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პარასკევს, 26 თებერვალს ბენეფისი გ. მესხისა, წარმ. იქნება: „ხალხის სიკეთე" და „სიკვდილი ნაპოლეონისა". მზადდება: „დღენი ჩვენი ცხოვრებისა".

რეჟისორი: ვლ. ალ.-მესხიშვილი რეჟ. თანაშემწე: გ. ურუშაძე.

გამოვიდა ახალი პაპიროსები!

უმაღლესი ხარისხის და ნაზი სურნელებისა

„ИВАНЪДА МАРЬЯ"

25 ცალი 30 კ., 25 კაპ., 15 კაპ.

10 ცალი 10 კაპეიკი და 6 კაპეიკი.

სავაჭრო სახლი

ნ. ი. ბოზარჯიანცისა შვ-თ. 0—4

სახალხო სახლი

კვირას, 21 თებერვალს ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის მასწავლებელი.

ა. ქ. ვერესოვი წაიკითხავს ლექციას:

## ალკოჰოლიზმი და ბრძოლა მასთან.

ლექციის შემდეგ გაიმართება კონცერტი. დასაწყისი 11 საათზე. ადგილების ფასი 5 კაპ. და 10 კაპ.

ძმ. ზუბალაშვილების სახ. სახლი

კვირას, 21 თებერვალს სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ ცენის მოყვარეთა წრის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ვასო აბაშიძის მონაწილეობით

## „უდანაშაულოთ დასჯილნი"

კომ. 4 მოქ. ოსტროვსკისა.

დასაწყისი საღამოს 8 საათ.

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

რეჟის. კ. შათირიშვილი, ადმინისტრ. დ. გახვახიშვილი.

ამით საყოველთაოთ ვაცხადებთ, რომ ყოვლად საუკეთესოთ და უტყუარათ ცნობილი

## პასხალიდის აბრეშუმის თესლი

როგორც გასულ წლებში, ისე წელსაც მინდობილი აქვს გასასყიდათ ფაბრიკისავე დადგენილ ფასებში

მათე გაბრ—ს-ძე რუსიძის კანტორას

ქ. ბათუმში, მარიინსკის პროსპ. სახ. № 10 (15—3)

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის

## „ცინკოგრაფია"

იღებს ყოველ-გვარ ზაკაზებს კლიშეებისა და ასრულებს სუფთათ თავის დროზე.

ადრესი: თფილისი, დიდი ვანქის ქუჩა, სახლი № 12 ზემო სართულში. (0—4)

კბილის ექიმი

## რომანიშვილი—დზენუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

სამღვთო სჯულის

## სახელმძღვანელო

შედგენილი დეკ ნ. ყუბანეიშვილისა მრავალი სურათებით და ყდით, იყიდება

ქ. თავართქილაძესთან.

გამოვიდა ახალი № 8 სათეატრო-სალიტერატურო-სამხატვრო სურათებიანი ჟურნალი




თითო ნომერი ყველგან 10 კაპ.

წლიურად 5 მ., ნახ. წლით 3 მ. ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრამ. საზოგ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან.

ადრესი: Тифлисъ, контора Груз. Драм. об—ва, Іос. Зах. Имедашвили (სათავად-აზნ. ქარვასლაში, ქართულ თეატრთან).

რედ.-გამომც. იოსებ იმედაშვილი.

ჟურნალი

## „ფასკუნჯი"-ს

რედაქცია

სთხოვს ბბ. აგენტებს გამოგზავნონ ხელის მოწერის ფული და ხელის მომწერთა სია.

ჟურნალის პირველი № გამოვა მარტის შუა რიცხვებში შემდეგის შინაარსით: ნაწარმოებნი—განდეგილის, ეკ. გაბაშვილის, გ. მაჟაშვილის, ა. შანშიაშვილის, ტ. რამიშვილის, ა. სარაჯიშვილის; წერილები—ნ. მარრის, კ. აბაშიძის, გერ. რობაქიძის, გ. თაყაიშვილის, სიტყვასი და სხ.

სურათები—ერთი ფერადი, ორი ფოტოტიპიური და ათი ცინკოგრაფიაში გაკეთებული.

ადრესი: Тифлисъ типографія „Сорапань". 3—1

## თფილისი, 21 თებერვალი.

საბიუჯეტო კომისიის მოხსენებით 22 წ. განმავლობაში მდგომარე წელიწადი უნდა გათავდეს უდეფიციტოთ—სესხის აუღებლათ, თუ ამას წინ არ გადაელობა სახელმწიფო საბჭო, რომელსაც კადეტმა კუტლერმა სრულიათ სამართლიანათ „საკანონმდებლო პრობკა" უწოდა თავის საბიუჯეტო სიტყვაში. ოქტომბრისტები ძლიერ გახარებულნი არიან, რომ წელს სახელმწიფო ხაზინას ზურგზე არ დააწვება ასი მილიონი მ. სესხი, რომელიც დაახლოვებით საჭირო იყო ფინანსთა მინისტრის ვარაუდით. ამ ფაქტით უკმაყოფილონი არც ჩვენ ვართ, პირიქით ოთხი მილიონი სარგებელი იმ მოსალოდნელი სესხისა გლეხების ჯიბეებიდან რომ არ ამოვა, მარტო ეს ფაქტი რათ ღირს! მაგრამ უკმაყოფილოთ არ ყოფნა კიდევ არ ნიშნავს სიხარულს, რომელიც ოქტომბრისტებს ეტყობათ სახეზე და რომელიც ჩვენ ახლოსაც არ გვეკარება, როცა ვხედავთ როგორ გროვდება 2 ნახევარ მილიარდი მანათი ხალხისგან, როგორ პირობებში ცხოვრობს ეს ხალხი, რა რიგათ ახდევინებენ მას ამ ფულებს, სად და ვისზე იხარჯება ის. უმთავრესი წყარო სახელმწიფო ხაზინის შემოსავლისა არის არა პირდაპირი გადასახადები და ამას კი იხდიან მხოლოდ და მხოლოდ გლეხები და მუშები, არა რის მქონე თითოეული მათგანი, დიდ შემოსავალს აძლევს სახელმწიფოს: ჩაი, შაქარი, სპიჩკა, ნავთი, მარილი ხომ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ყველა რუსეთის მცხოვრებთათვის და სწორეთ ეს საგნებია არა პირდაპირი გადასახადების შემოსავლის წყარო. თუ ამას კიდევ არაყის მონოპოლიის შემოსავალს, რომელიც 800 მილიონ მანეთს უდრის, მიუმატებთ, მაშინ თქვენ თვალწინ წამოგიდგებათ, თუ საიდან გროვდება 2 ნახევარი მილიარდი. როცა ამ სახით შემოსული ფულები იხარჯება სამხედრო საქმეზე, თავად-აზნაურობის ადგილ მამულის და ყოველგვარ უპირატესობის შენახვაზე, საშინაო ომზე, ყოველგვარ დრომოჭმულ ინტერესების დასაცავათ, აუარებელი „ჩინოვნიკების", პოლიციის, ჟანდარმების სასაზღოებლათ, ეს გარემოება კი ფრიად დამაფიქრებელია—არაფერს კარგს არ გვიქადის, პირიქით, მთელ რუსეთს საშინელ უფსკრულისაკენ მიაქანებს. რა უშველის ამ უნუგეშო მდგომარეობას? პირველი შეხედვით სახელმწიფო დუმაში ოქტომბრისტებიდან მოკიდებული უკიდურეს მემარცხნეებ თ გათავებული ყველანი კმაყოფილნი არიან არსებული წესებით და საჭირო რეფორმების მოხდენაც სურთ, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ უკმაყოფილების სფერა, რეფორმების გეგმა და ტაქტიკა ერთგვარი იყოს სხვადასხვა პარტიათა. ოქტომბრისტების სული და გული, მათი მოქმედება სავსებით მიმართული არის იმისკენ, რომ მთავრობას არაფერი აწყენიონ, მისი სურვილის წინაამდეგ არ წავიდენ: მარცხნით გაიწევს მთავრობა, თუმცა ასეთი მოვლენის მომსწრე ჯერ არ ვართ, ისინიც მზათ არიან მარცხნით გაჩოჩდენ, მარჯვნით გაიხრება—ისინიც უკან მიჩანჩალებენ. ასეთ პარტიას შეუძლია მხოლოდ სურვილი გამოთქვას, საქმენი კი მისი დამოკიდებულია მთავრობის მოქმედებაზე, მას არავითარი დამოუკიდებელი მოქმედება არ შეწევს და ამით აიხსნება, რომ აგერ სამი წელიწადი სრულდება, რაც მესამე დუმა არსებობს, საცა პირველობა ოქტომბრისტებს ეკუთვნოდა, მაგრამ ერთი გაბედული ნაბიჯის გადადგმა მან ვერ მოახერხა დაბოლოს იმ წერტილამდის მიაღწია, რომ მას მთავრობამაც თითქმის ზურგი შეაქცია. ოქტომბრისტების შემდეგ მარცხნით კადეტების ფრაქციაა მრავალრიცხოვანი, რომელიც მეორე დუმაში ხელმძღვანელ უმრავლესობას შეადგენდა და რომელიც დღეს მთავრობას საშინლათ ეჯავრება შეიძლება იმიტომ, რომ კადეტებში ის ხედავს უფრო ძლიერ მეტოქეს, ვიდრე ოქტომბრისტებში. თუ ოქტომბრისტებს მთავრობის შემწეობით სურთ დაამყარონ რუსეთის ბედნიერება, კადეტები სხვა სენით არიან შეპყრობილი: მხოლოდ საკანონმდებლო დაწესებულება, საცა ისინი იქნებიან უმრავლესობაში, გამოიყვანს რუსეთს განსაცდელისაგანო. მათზე მეორე დუმის გაკვეთილმა კიდევ ვერ გასჭრა, კიდევ ვერ მივიდენ იმ დასკვნამდის, რომ დუმა ხალხის ორგანიზაციულათ შეუკავშირებლათ და მის დაუხმარებლათ თითქმის არარაობაა, ყოვლად უძლურია ძველი რუსეთის ახალზე გარდასაქმნელათ და მხოლოდ ხალხს შეუძლია გამოსჭედოს თავის ბედნიერება, როგორც ეს თქვა ს.-დ. ბელოუსოვმა თავის საბიუჯეტო სიტყვაში.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 თებერვალი

### სპარსეთი

**თეირანი.** მინისტრთა კაბინეტმა სცნო რა ლიანოზოვების უფლება მდინარე ჩუმუსხალზე, დაადგინა მდინარე კონცესიონერებს გარდასცეს.

### ოსმალეთი

**კონსტანტინოპოლი.** პარლამენტი დღეს გადადის ახალ ბინაზე სულთანის ქალის სასახლეში.

**კონსტანტინოპოლი.** ჯარში ახლად გაწვეულ სალდათების რიცხვი 120,000 ადის. გაწვეულია ახალგაზრდები ოც წლამდე. დაყოფილია სამ წლოვანებათ—უმცროსმა უნდა იმსახუროს სამი წელიწადი, საშუალომ ექვსი თვე და უფროსმა—სამი. ბევრი ქრისტიანი არ გამოცხადდა.

**სალონიკი.** 15 თებერვალს დიაკოვოში ალბანელებს ჯართან შეტაკება მოუვიდათ. მოკლულია ექვსი სალდათი და აფიცერი.

### საზღვარ-გარეთ

**ჟიუნო.** (ალიასკა) ტრედუელის მაღაროში აფეთქება მოხდა. მოკვდა ოც-დასამი მუშა, მრავალი დაიჭრა.

**ფილადელფია.** სამართალში მისცეს მუშათა ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდენტი. აგრეთვე პარტიის ბელადი მუშები, რომლებიც აჯანყებისკენ მოუწოდებდენ მუშებს.

**ათინა.** პალატამ 150 ხმით წინაამდეგ 11-სა მიიღო მთავრობის კანონ-პროექტი კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ. ნაციონალურ კრებას 1 სექტემბერს მოიწვევენ.

**ვენეცია.** დაიწყო გრაფ კომაროვსკის მოკვლის შესახებ საქმის გარჩევა. დამნაშავები კანდალებით გადაიყვანეს სასამართლოში, რომელსაც გარს აუარებელი ხალხი არტყია. მოვიდენ იტალიის და საზღვარ-გარეთის გაზეთების მრავალი კორესპონდენტები. ხალხს სასამართლოში ბილეთებით უშვებენ. დამნაშავეებს ათი ვექილი იცავს დამნაშავე ტარანოვსკაიას შავები აცვია. თავმჯდომარე ეკითხება დამნაშავეებს გაიგეს თუ არა მათ საბრალმდებლო ოქმი იტალიურ ენაზე; დამნაშავეები უპასუხებენ, რომ გაიგეს. დახურულ კარებში ირჩევენ ნაფიც მსაჯულებს. ნაფიცი მსაჯულები ფიცს ღებულობენ. სხდომა ნასადილევისთვის გადაიდო. სხდომის განახლებისას კითხულობენ საბრალმდებლო ოქმს. თავმჯდომარე ხსნის ზოგიერთ მუხლებს. ნაუმოვი აღელვებულია. ტარანოვსკაია მშვიდათ ზის, მაშინაც კი, როცა თავმჯდომარე მოაგონებს მას, რომ სხვისი საყვარელი იყო და კომაროვსკის მოკვლაში მონაწილეობა მიიღო. ექსპერტ-ფსიხიატრების მიერ ფიცის მიღების შემდეგ სხდომა დაიხურა.

**ათინა.** დეპუტატთა პალატა. დარბაზი ხალხით მთლათ გაჭედილია. განსახილველია კონსტიტუცის გადასინჯვის პროექტი. მავრომიხალისი აცხადებს, რომ კონსტიტუციის გადასინჯვა და ნაციონალური კრების მოწვევა არსებითად კონსტიტუციის დარღვევაა, ნაციონალური კრება შეიძლება დამფუძნებელ კრებათ გადაიქცეს. თუ მაინცა და მაინც უნდათ კრება, სასურველია ის ადრე მოხდეს. მინისტრ-პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ მთელ მხარეში მშვიდობიანობაა. მოძრაობის ბელადებს 15 აგვისტოს აზრათ არ ქონდათ არც კონსტიტუციის წინაამდეგ გამოსვლა და არც დინასტიის; მათ მხოლოდ შინაური რეფორმები უნდოდათ. მეფე მუდამ კონსტიტუციის ერთგული დარაჯი იყო. უსაფუძვლოა ის შიში, თითქო ნაციონალური კრება დამფუძნებელ კრებათ გადაიქცეს. დრაგუმისი სთხოვს პალატას ხმა მისცეს ნაციონალურ კრების მოწვევას. უმრავლესობის ბელადი ამბობს, რომ ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. ხალხის სურვილია კონსტიტუციის ისე შეცვლა, რომ მისი მდგომარეობა შემსუბუქდეს.

### რუსეთი

**კიევი.** კადეტის კორპუსის ახლო ტრამვაის ვაგონზე ახტა ოთხი შეიარაღებული. გაძარცვეს კონდუქტორი და გაიქცენ.

**დონის-როსტოვი.** ქალაქის საბჭომ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას უმაღლესი საექიმო სასწავლებლის გახსნის შესახებ.

**ეკატერინოსლავი.** ბახრუტის მაზრის საცეპეტოვკაში მოკლეს დარაჯი. წაართვეს რევოლვერი და ვინტოვკა.

**ჰელინგფორსი.** აქ დაჭერილი, გლეხის ოჯახობის მკვლელი ვიბორგის ახლოს მატარებლიდან გადმოხტა და სასიკვდილოთ დაიმტვრა.

**ადესა.** ერთ სამრევლო სკოლაში აღმოაჩინეს მასწავლებლის მოწმობების ფაბრიკა.

**პეტერბურგი.** სამოსამართლო პალატამ ბოქაულ ნიკიტინს ქრთამის აღებისთვის სამსახურიდან დათხოვნა და 300 მ. ჯარიმა გადაუწყვიტა.

**შავი ჭირი**

**პეტერბურგი.** სოფელ ნოვაია კოზანკაში, ყირგიზებში, ისევ გაჩნდა შავი ჭირი. ავათ გახდა ერთი. სულ სამი არის ავათ.

# აუგუსტ ბებელი.

პროლეტარიატის საუკეთესო მებრძოლი და შეუდარებელი ორატორი, ავგუსტ ბებელი დაიბადა 1840 წელს 22 თებერვალს, გერმანიის ქ. დეიც-კელდში მდგომ ქვევითა ჯარის მე-25 პოლკში. მისი მამა—იოან-გოცლიბი უნტერ-ოფიცრათ იყო. ბებელი ჯერ სამი წლისა არ იქნებოდა, რომ მისი მამა ჭლექით მოკვდა. ნივთიერმა გაჭირვებამ აიძულა მისი დედა მეორეთ გათხოვილიყო და ამ გზით ეშოვა პატრონი შვილებისათვის. ჯვარი დაიწერა მაზლზე—ქმრის ძმაზე, აუგუს ბებელზე, რომელიც მაშინ ქ. კელნის მახლობლათ მდებარე სოფელ ბრაუფეილის საპყრობილეში უბრალო ზედამხედველი იყო, ბინაც შიგ საპყრობილეში ქონდა. ბებელმა პირველდაწყებითი სწავლა ბრაუფეილის სოფლის სკოლაში მიიღო. მალე, 1846 წელს, მამინაცვალიც მოუკვდა. დედა მისმა დასცალა სახელმწიფო ბინა და თავისი ორი ვაჟი-შვილით (მესამე 1845 წ. მოუკვდა) დაბრუნდა სამშობლო ვეტცლარში, საცა მათ პატარა ნაჭერი მიწა ქონდა ბებელი პირველათ იქ ღარიბთა სკოლაში მიაბარეს, შემდეგში ეს სკოლა სამოქალაქო სასწავლებელს შეუერთდა და იმანაც იქ განაგრძო სწავლა. სასწავლებელში, როგორც თითონ ბებელი თავის ახალ წიგნში მოგვითხრობს, საუკეთესო მოსწავლეთ ითვლებოდა, მასწავლებლები ყველა მადრიელი იყვნენ, გარდა გალობის და სამღვთო სჯულის მასწავლებლებისა. ბებელის საყვარელ საგნებს შეადგენდა ანგარიში, გეომეტრია, გეოგრაფია და ისტორია, განსაკუთრებულ ერთგულობით ეძლეოდა გეომეტრიის შესწავლას.

მთელი თავისი ჭაბუკობა ბებელმა ვეტცლარში გაატარა. მისი დედა აქაც დიდ გაჭირვებას განიცდიდა. ქმრიდან პენსია არ დარჩენია, მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ სახელმწიფოდან სულ მცირედი თვიური დახმარება მიეცათ. ასეთ გაჭირვებულ პირობებში მყოფი დედა იძულებული შეიქნა შვილები სამხედრო ობოლთა თავშესაფარ სახლში კანდიდატებათ ჩაეწერნა. თუმცა მალე მიიღეს ბებელის უმცროსი ძმა სამხედრო ღარიბთა სახლში, მაგრამ დედამისმა არ მოისურვა შვილის სამხედრო დაწესებულებაში შეყვანა და უარი უთხრა მას.

1853 წელს ბებელი სრულიათ დაობლდა. დედაც მოუკვდა გულის ავათმყოფობით. ამ დროს იგი თორმეტ-ცამეტი წლისა იქნებოდა. დედის ავათმყოფობის უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას სისუსტის გამო სრულიად აღარ შეეძლო მუშაობა, დიდ ნივთიერ გაჭირვებას განიცდიდენ. როგორც უფროსი შვილი, ავგუსტ ბებელი მთელი ოჯახის საქმეს თითონ აკეთებდა, ოჯახს გარეთაც მუშაობდა სახლში ფულის შემოსატანათ, დაიარებოდა ერთ მახლობელ ყავახანაში და იქ საღამოობით კეგელის მოთამაშეებს კეგელებს აწვდიდა, რისთვისაც თორმეტცამეტი წლის ავგუსტი სულ მცირეოდენ სასყიდელს იღებდა. დედის სიკვდილის შემდეგ ავგუსტი დედის დამ წაიყვანა თავისთან და იქ წისქვილში ჩვეულებრივ სამუშაოს აკეთებინებდა. დედის დასთან დაჰყო სანამ არ გაათავა სასწავლებელი. ახლა აქედან კი უნდა ეზრუნა თავის კარიერაზე. თოთხმეტი წლის ბებელი მიებარა შეგირდათ ერთ ნაცნობ ხარატს. სამუშაო ხელფასი მეტის-მეტათ მცირე იყო: საჭმელისა და ბინის გარდა კვირაში საშუალოთ ერთ მანეთს იღებდა. ამ დროს მას ნაკლებათ ქონდა საშუალება სულიერათ განვითარებულიყო. სრული ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა, რომ ქარგალი გახდა.

თვრამეტიდან ოც წლამდის ავგუსტ ბებელი, როგორც ქარგალი ერთი ქალაქიდან მეორეში გადადიოდა; მოიარა გერმანიის სამხრეთი ალაგები, ავსტრო-უნგრეთში და შვეიცარიაშიაც კი იყო. ზოგიერთა ქალაქებში, როგორც მაგ. ფრეიბურგში, ზალცბურგსა და რეგენსბურგში იგი ხანგრძლივათ მუშაობს. აქ შედის კათოლიკეთა ქარგალთა ფერეინში (კავშირში), რომელიც ერთათ-ერთი მუშათა ორგანიზაციათ ითვლებოდა იმ საშინელ რეაქციის დროს. კათოლიკეთა მუშათა კავშირში, ყველა კონფესიის (სარწმუნოების) მუშებს ღებულობდენ თავიანთ წრეში. თუმცა ბებელი მაშინ სარწმუნოებით პროტესტანტი იყო, მაგრამ მას ამან ხელი არ შეუშალა და კათოლიკეთა მუშათა ორგანიზაციამ მიიღო იგი თავის წრეში. აქ ბებელს ქონდა ერთნაირი საშვალება გონებით განვითარებულიყო. როგორ ვითარდებოდა და როგორ შეხედულებას იმუშავებდა ჩვენ ეს არ ვიცით, მხოლოდ თითონ კი ამბობს თავის ახალ წიგნში, რომ მას გერმანელ პატრიოტის სულისკვეთება, მიდრეკილება ეტყობოდა. ბებელი ზალცბურგში ცხოვრობდა სწორეთ მაშინ, როცა უკვე იტალიასა და ავსტრო-უნგრეთ შორის 1859 წელს ომმა იფეთქა. სალდათის შვილი ბებელი ომის ხმაურობამ გაიტაცა და იგი სურვილს აცხადებს ტიროლეთა თავისუფალთა მეომარების კორპუსში შესვლას. მაგრამ ბებელს ცდამ ამაოთ ჩაუარა, რადგან იგი ტიროლის მკვიდრი მცხოვრები არ იყო, მეომართა კორპუსმა მიღებაზე უარი უთხრა. როცა ბებელი პრუსიაში დაბრუნდა სამხედრო ბეგარის მოსახდელათ, სამხედრო ექიმების შემოწმებით სუსტი აღმოჩნდა და სალდათობისთვის სრულ უვარგისათ გამოაცხადეს.



**ავგუსტ ბებელი.**
70 წლის იუბილეი.

მაისის პირველ რიცხვებში, 1860 წ. ბებელი ლეიპციგში გადასახლდება სამუშაოს საშოვნელად და ამ წლიდან იწყება მისი დიადი ისტორია. ოთხი წლის შემდეგ იგი საკუთარ სახელოსნოს ხსნის ლეიპციგის ერთ მთავარ ქუჩაზე და ხდება დამოუკიდებელი. 1866 წ. ცოლიც შეირთო, რომლიდანაც ერთათ ერთი ქალი მიეცა. ბებელმა ქალი შვეიცარიელ ექიმ გვარათ სიმნს მიათხოვა და დღეს ორივენი ცოცხლები არიან. ვიმეორებთ, ბებელის ლეიპციგში დასახლებიდან იწყება ბებელის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა, აქედან იწყება მისი გერმანიის პროლეტარიატის ბელადობის ხანა, რომელის მთავარ ხელმძღვანელათ დღესაც ითვლება იგი.

## ავგუსტ ბებელის 70 წ. იუბილეს გამო.

გერმანიის სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტია და მასთან ერთათ მთელი ქვეყნის პროლეტარიატი წელს დღესასწაულობს ავგუსტ ბებელის დაბადებიდან სამოცდაათი წლის იუბილეის, დიდებულათ აღნიშნავს მის დიად საისტორიო ღვაწლს და უმაგალითო სიამოვნებით აღბეჭდავენ თავის სულსა და გულში. ეს დღე საერთაშორისო მუშათა კლასის დღესასწაული იქნება, იგი ამ დღეს ავგუსტ ბებელის წინაშე წარდგება და თავის ულრმეს პატივისცემას გამოუცხადებს მას, თითონ ბებელი ლიბკნეხტის 70 წ. დაბადების თავზე სწერდა: მართალია სოციალდემოკრატია და საერთოთ პროლეტარიატი დაუძინებელი მტერია ყოველგვარ პიროვნულ კულტისა, მაგრამ მას მაინც არ შეუძლია ნიშნათ გულწრფელი პატივისცემისა მადლობა არ გადაუხადოს ისეთ ადამიანს რომელიც მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მისი თანამებრძოლი, მისი საუკეთესო ხელმძღვანელი ყოფილა. ლიბკნეხტის პიროვნებაში განხორციელებულია პარტია, მისი საკუთარი ცხოვრება პარტიის ცხოვრება იყო, მისი ცხოვრება მთლიანათ პარტიულ ცხოვრების ზრდა-განვითარებასთან იყო შედუღებულ შესისხლ-ხორცებული... ასე რომ, ვილჰელმ ლიბკნეხტის სამოცდაათი წლის დაბადების დღე საპატიო დღეა არა მარტო იუბილიარისთვის, არამედ—თვით პარტიისთვისაც, ვინაიდან ლიბკნეხტის პატივისცემა ეს თვით პარტიის პატივისცემას ნიშნავს“.

ამას სწერდა ბებელი, ვილჰელმ ლიბკნეხტის 70 წლის იუბილეის წინა დღეს და ამასვე გაიმეორებს მთელი ქვეყნის პროლეტარიატი ავგუსტ ბებელის სამოცდაათი წლის იუბილეის წინა დღეს. „ლიბკნეხტის პატივისცემა, ეს უმთავრესათ პარტიის პატივისცემააო“ სთქვა ბებელმა: ბედნიერება რომ ქონოდა ლიბკნეხტს და დღეს ცოცხალი ყოფილიყო, ამავე სიტყვებით მიმართავდა ბებელს.

მართალიაო, ამბობს მერინგი, პარტიის აკვანი პირველათ ბებელს არ დაურწევია, აკვანთან პირველათ ის არ დამდგარა, ბებელის ხელში არ დაბადებულა სოციალდემოკრატიული პარტია, მაგრამ თამამათ კი ითქმის, რომ გერმანიის მუშათა მოძრაობა ბებელიდან იწყება და ბებელის სიცოცხლეშივე უმაღლეს ხარისხამდე ვითარდება; გერმანიის მუშათა მოძრაობის ისტორიულ განვითარებაში ყველგან და ყოველთვის აშკარათ მოსჩანს ბებელის მოღვაწეობა, ბებელის დაუღალავი მუშაობა. და აი, ამ მოძრაობის ისტორიულ განვითარებაში გაიფურჩქნა და აყვავდა ბებელის ბუნებრივი ნიჭი, გაძლიერდა მისი დაუღალავი ენერგია.

თუნდაც მარტო ბებელის საზოგადოებრივ ცხოვრებას შევეხოთ, ჩვენ აშკარათ დავინახავთ, რომ იგი შეუწყვეტლათ დაბლიდან მაღლა ვითარდებოდა; იგი დღითი-დღე ცოდნა გამოცდილებას იძენდა, სისწრაფით უახლოვდებოდა მეცნიერულ სოციალიზმის მსოფლ-მხედველობას. ასე რომ, ერთობ სიცრუეა ის დაუჯერებელი ლეგენდები, რომლებიც განგებ შეთითხნილია ბურჟუაზიული მწერლებისგან, ვითომ იგი მხოლოდ და მხოლიბკნეხტის მეოხებით, ლიბკნეხტის ზედ-გავლენით შეიქნა სოციალისტი. რომ ბებელი სავლედან პავლე გახდნა, ლიბკნეხტს სულ რამდენიმე დღე დასჭირდა.*) ასეთი ლეგენდების წინააღმდეგ ბებელმა ხმა აღიმაღლა და თავის მემუარებში გადაჭრით უარყო მთელი ეს ჭორები. აი, რას სწერს იგი ამის შესახებ თავის მემუარში: „ლიბკნეხტი სრული თოთხმეტი წლით ჩემზე უფროსი იყო; როცა ჩვენ პირველათ ერთმანეთი გავიცანით, მას უკვე ხელთ ქონდა ხანგრძლივი პოლიტიკური გამოცდილება, შემუშავებული ქონდა პოლიტიკური გამოცდილება შეხედულება. ლიბკნეხტი მეცნიერულათ განათლებული კაცი იყო, რომელიც მუდამ სერიოზულათ მეცადინეობდა, მე კი არ მქონდა მეცნიერული განათლება. ლიბკნეხტი მთელი თორმეტი წელიწადი ლონდონში ცხოვრობდა, მარქს-ენგელსთან ახლო ნაცნობობა ქონდა, რომლებიდანაც ბევრი რამ ისწავლა. ამის მერე თავისთავათ საგულისხმოა, ამბობს ბებელი, რომ ლიბკნეხტს ჩემზე დიდი გავლენა ექნებოდაო. სამარცხვინო იქნებოდა ლიბკნეხტისთვის, რომ მას ჩემზე გავლენა ვერ მოეპოებინა და ჩემთვისაც, რომ იმისაგან არაფერი მესწავლაო, მაგრამ მე სოციალისტი უიმისოთაც გავხდებოდი, იმიტომ რომ როცა მე მას გავეცანი, მა-

*) იხ. ფონგერლახის ბროშიურა: „აგუსტ ბებელი“.

# სამაგიერო
(ს. ალპერიცისა)

მოხუც დონ ენრიკოს ღვინის სარდაფთან, როგორც ეს ყოველ კვირა დღე ჩვეულებათ ქონდათ, ხალხს ბლომათ მოეყარა თავი. სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, ამ სარდაფს კარგი ღვინოებით მთელ ოლქში სახელი ქონდა გავარდნილი და კიდეც იმიტომ ყოველ ახლო-მახლო სოფლებიდან მოდიოდა ხალხი. გარდა ამისა, დონ ენრიკის ცოლმა საუცხოვო ერბო-კვერცხის და სხვადასხვა საჭმელების გაკეთება იცოდა. ვისაც ერთხელ ეგემა დონ ენრიკის ცოლის გაკეთებული საჭმელი, ის თავის დღეში არ დაივიწყებდა მას. თანაც წმინდა, პატარა სახლი თავის სარდაფით საუცხოვო ადგილას იყო! სამი მხრით გარს ერტყა ვენახი, მეოთხე მხრით დიდი შარა გზა მიდიოდა. ასე რომ, ადამიანს შეეძლო ვენახებში ტალავერ ქვეშ დამჯდარიყო და ეცქირა შარაზე გამვლელ-გამომვლელთათვის. ამიტომ არაფერი გასაკვირია, თუ ახლო-მახლო სოფლების გლეხები ყოველ კვირაობით მოდიოდენ აქ და მთელი კვირის ნამუშევარს ხარჯავდენ.

ჩვენ მიერ აღწერილ კვირას დონ ენრიკოს სარდაფში ჩვეულებრივზე მეტ ხალხს მოეყარა თავი. მეღვინეთათვის მეტის მეტათ მოჩქარებული სამუშაო დრო იყო, სამუშაო ქირამ ძალზე აიწია და ვისაც კი ძალ-ღონე შესწევდა და მუშაობა შეეძლო, ერთი კვირის განმავლობაში კარგა ბლომა ფული მოაქუჩა. და სწორეთ ამ ერთი კვირის ნაშოვნი ფულებით ქეიფობდენ ამ დღეს, ზოგი თავის დანიშნულს უმასპინძლდებოდა, ზოგი მეგობარს და სხვა. ღვინო ყველას ძალზე ეტყობოდათ, სახე ატკეცოდათ და აჩქარებით ლაპარაკობდენ.

ლაპარაკი შეეხებოდა სამი წლის წინათ მომხდარ ამბავს, რომელმაც მთელი სოფელი ააყაყანა. ერთ მდიდირ მემამულისას რთველის დროს დაიჭირეს პატარა ბიჭი, რომელიც ყურძენს იპარავდა. გაიგო თუ არა ეს მემამულემ, იმდენი სცემა ბავშვს, რომ ორივე გვერდები ჩაამტვრია.

— სწორეთ ნამდვილი მხეცი ყოფილა ის თქვენი მემამულე—წამოიძახა მეზობელ ფერმიდან მოსულმა ახალგაზდა ყმაწვილმა.

— ეს კიდევ რა არის—აღელვებით დაიწყო გალახული ბავშვის მამიდამ—ასეთი შემთხვევა ყველასათვის მოსალოდნელია. მაგრამ იმ ეთი შეუბრალებელი ადამიანი სხვა არ იქნება. როცა მეორე დღეს მივედი და ვსთხოვე გამოეგზავნა მისი შინაური ექიმი, დამიყვირა,—ქურდებს არ არჩენენ და თუ ექიმი შენთან წამოვა, ადგილიდან დავითხოვო.

— მერე?—დაეკითხა რამდენიმე კაცი.

— ექიმი ღამით ჩუმათ მოდიოდა ბავშვთან. მაგრამ, საუბედუროთ, მან საიდანღაც მაინც გაიგო ეს ამბავი და საბრალო მაშინვე ადგილიდან დაითხოვა, მას სასამართლოში უნდა უჩივლოს, მაგრამ რას გააწყობს საბრალო ასეთ მდიდარ კაცთან?

— საზიზღარი!—ბრაზიანათ წამოიძახა იქვე მდგომმა მაღალ-მაღალმა მუშამ—სირცხვილი არ არის ამდენ ხანს ჭკუა ვერ ასწავლეთ იმას?!

— დიახ, დრო არის, დრო გადვუხადოთ სამაგიერო ყველა იმ უბედურებისათვის, რაც მან ჩვენ მოგვაყენა—წამოიძახა რამდენიმე კაცმა.

— ცხადია, რატომ დაიხრჩო თავი შარშან ჩემმა ამხანაგმა ქალმა მარიტორნამ—აცრემლებული თვალებით წარმოსთქვა ერთმა ქალიშვილმა—ის მან დაღუპა: ჩაუსაფრდა ღამით, როცა ის მარტოთ მიდიოდა სახლში და დაიჭირა.

— ის ხომ არც ერთ ლამაზ ქალს არ გაუშვებს—დაეთანხმა მას მრისხანე სახის მოხუცი.

— თქვენ ეხლა ის იკითხეთ, როგორ გვამუშავებს!—წამოიძახა ახალგაზდა კაცმა—ხანდისხან ისეთ პაპანაქება სიცხეში გვამუშავებს, რომ თავი გვისქდება. ხვლიკი ძლივს დაცოცავს ისეთი სიცხეა და ჩვენ კი უნდა ვიმუშაოთ დაუსვენებლივ. თუ ღმერთი გაგიწყრა და ცოტა შეჩერდი სულის მოსათქმელათ ხელათ გაჩნდება მოურავი და გიყვირის დათხოვით ან სამუშაო ქირიდან გამორიცხვით გემუქრება.

— როცა ჩვენ შარშან ქოხი დაგვეწვა—ჩაერია ლაპარაკში ფერმკრთალი მოხუცი დედაკაცი — და 35 მანათი ვსთხოვეთ სესხათ, მან გადიხარხარა და გვითხრა: „დაიკარგეთ აქედან სულელებო, მე ფულების ქარხანა არ მაქვს“-ო თვითონ კი უხვათ სარგებლობს ჩვენი შრომით და მთელი კვირის განმავლობაში ქირას არ გვაძლევს.

— რასაკვირველია! —დამცინავი ღიმილით წარმოსთქვა მწყემსმა, რომელიც ამ დროს მოვიდა.—მას ძალიან ეძნელება ფულების მოშორება, რამე საქმეში აბანდებს და პროცენტებს ღებულობს.

— ამ დროს კი თქვენ შიმშილით ცალფეხზე ტრიალობთ—მიაძახა მენახირემ, რომელიც მთელ სოფელში განთქმული იყო თავისი ოხუნჯობით.

— არაფერი დასაცინი აქ არ არის!—მრისხანეთ წარმოსთქვა მოხუცმა—შენ რა გიჭირს მასთან არავითარი საქმე არა გაქვს, ერთი გესინჯა და მერე გაიგებდი რაც იყო.

მენახირეს შერცხვა და გაჩუმდა.

— ვინ ბრძანდება ეს თქვენი ხონთქარი?—იკითხა წვერიანმა მემუსიკემ, რომელიც ამ დრომდე მაგრათ ილუკმებოდა და ლაპარაკში მონაწილეობას არ იღებდა.—თქვენ ხომ მონები არა ხართ—ავიღებდით და საკადრის პასუხს გავცემდით.

ყველა იქ მყოფებმა ერთხმათ შესძახეს მემუსიკეს:

— ხონთქარზე უარესია! ძალაუნებურათ მონა გახდები! მიწა ცოტა გვაქვს, ხალხი ბლომათ ვართ! აბა გასინჯეთ ერთი და გამოიძღეთ კუჭი ამ პირობებში!. მას სამუშაო მუდამ აქვს, ის აქ პირველი კაცია! შიმშილით სიკვდილი არავის არ უხარია! არც ჩვენ ვართ შენზე ნაკლები! რა მამაცი ვინმეა!!

— დადგება დრო და ყველაფერს ერთათ გადავუხდით გადაჭრით წამოიძახა წვერიანმა მოხუცმა კაცმა და ისე ძლიერათ დაჰკრა მუშტი სტოლზე, რომ მიელი ჭურჭელი ცეკვავით აქეთ იქით გადაყარა.

ამ დროს სარდაფის შესავალთან გაქაფული ცხენით მიიჭრა ახალგაზდა, რომელიც ყველამ უცბათ იცნო. ეს იყო მემამულეს მეჯინიბე.

— ჰეი! დონ ენრიკო!—დაიძახა მან და ცხენიდან გადმოხტა—თუ ხათრი გაქვს, ჩქარა ერთი ჭიქა კარგი ღვინო მომაწოდე, ძალიან მეჩქარება.

— რა მოხდა, რა ამბავია?—შეეკითხენ აქეთ იქიდან.

— უბედურება მოხდა! ბატონი რაღაცას მაგრატლით კრეჭდა ბაღში და მუცლით ზედ წამოეგო... სისხლი თქრიალით გასდის... ექიმი გუშინ გააგდო... ეხლა ქალაქში მივეჩქარები მეორეს მოსაყვანათ.

მან საჩქაროთ გადაჰკრა ღვინო, მოახტა ცხენს და გაქანდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— უნდა საჩქაროთ დავეხმაროთ!—წარმოსთქვა მაღალ-მაღალმა კაცმა და საჩქაროთ წამოდგა—მე გავიქცევი, ვთხოვ, რომ არა უნდა რა.

— დიახ, დიახ, საჭიროა დახმარება! ექიმი, ვინ იცის, როდის მოვა?—მოისმა აქეთ იქიდან რამდენიმე ხმა.—მამიდა კატერინა, შენ, მგონია ჭრილობის შეხვევა იცოდი!

— ღვთის მადლით ვიცი—დაამოწმა გალახული ბავშვის მამიდამ—ეხლავე წავალ სახლში და ბინტებს წამოვიღებ!

— ყველანი საჩქაროთ წამოიშალენ, მიატოვეს სუფრა და სირბილით წავიდენ მემამულის სახლისაკენ.

შინ უკვე ვიდექი გასოციალისტების გზაზედ. ვაწარმოებდი რა ლასალიანცების წინააღმდეგ გამუდმებულ ბრძოლას, ჩემთვის საჭირო შეიქნა ლასალის თხზულ. კითხვა რაც დიდ ცვლილებას ახდენდა ჩემში. ლიბერალების მოღვაწეობა პარლამენტში და პარლამენტს გარეთ დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ჩემში, განსაკუთრებით მაღელვებდა ლიბერალური პარტიების ხელმძღვანელების დამოკიდებულება მუშათა საკითხთან. ყველა ეს ნიადაგს უმზადებდა ჩემს გასოციალისტებას, მხოლოდ ლიბკნეხტის გაცნობამ დააჩქარა ეს პროცესი, ამაში მდგომარეობს ლიბკნეხტის მთავარი ღვაწლი.

რაც შეეხება ლიბკნეხტის მიერ ბებელის გამარქსისტებას, აქაც იგივე უნდა ითქვას, რაც პირველ შემთხვევაში. მართალია, სწერს ბებელი, გაცნობის პირველ წლებში ლიბკნეხტიდან ბევრი კარგი ლექცია და სიტყვა გამიგია. ის კითხულობდა ინგლისის პროფესიონალურ კავშირებზე, ინგლისის და საფრანგეთის რევოლიუციაზე, გერმანიის გლეხთა ომებზე, ხშირათ ლაპარაკობდა პოლიტიკურ კითხვებზე და სხვ. თუ როდისმე ლიბკნეხტს მარქსსა და ლასალზე ლაპარაკი უხდებოდა, ეს მხოლოდ მოწინააღმდეგეებთან პოლემიკის დროს. სპეციალური რეფერატები მარქსიზმზე, მას არ წაუკითხავსო. საერთო მეცადინეობისათვის კი არც მე და არც იმას დრო არ გვქონია, ვინაიდან პოლიტიკური ბრძოლა და მასთან შეკავშირებული გამუდმებული პრაქტიკული მუშაობა დროს აღარ გვიტოვებდა კერძო მეცნიერულ მეცადინეობისთვის.

უფრო ჩქარა საფიქრებელია, რომ ის და ჩემთან ერთათ ყველა იმ დროის სოციალისტები მარქსიზმამდის ლასალის თხზულებების კითხვით მივედით. ჩვენ ყველა ლასალის ნაწარმოებს ადრე გავეცანით, ვინმე მარქს-ენგელსისას. თუ რამდენათ ძრიელი იყო ლასალის გავლენა ბებელზე ნათლათ შეგვიძლია დავინახოთ მის პირველ ბროშიურაში—„ჩვენი მიზანი“, რომელიც პირველათ 1869 წელს დაიბეჭდა. სწორეთ დასახელებულ წლის ბოლოს მოუხდა ბებელს მარქსის პირველი ტომის შესწავლა, ამ დროს ის ციხეში იჯდა. ხუთი წლის ადრე შეუდგა მარქსის „კრიტიკა პოლიტიკურ ეკონომიის“ შესწავლას, ამ ხანებშივე წაუკითხავს სხვა დანარჩენი მარქსის ნაწერები. შემდეგ 1866 წელს ინტერნაციონალის წევრიც გამხდარა. ლიბკნეხტი კი გაიცნო ბებელმა მხოლოდ 1865 წელში.

ვიმეორებთ, ბებელის გასოციალისტება და გამარქსისტება ლიბკნეხტის დამოუკიდებლათ, ლიბკნეხტის გაცნობამდისაც დაწყებულა.

რასაკვირველია, თუ ჩვენ ვუარყავით ბურჟუაზიული მწერლების მიერ შეთხზული ლეგენდა, რითაც ამტკიცებენ ბებელის ლიბკნეხტის მიერ „მორჯულებას“, იმისათვის კი არა, რომ ვუარყოთ ამ ორ გამოჩენილ ადამიანების ერთმანეთზე ნაყოფიერი გავლენა, დავამციროთ მათი საერთო მოქმედება, პირიქით, გვინდა უფრო მაღლა ავწიოთ. ლიბენეხტ-ბებელის თითქმის ორმოცი წლის საერთო მოღვაწეობა ისეთივე დიდმიშვნელოვანია გერმანიის მუშათა მოძრაობისთვის, როგორც მარქს-ენგელსის ორმოცი წლის საერთო მეგობრული მოქმედება საერთაშორისო მუშათა კლასისთვის. თუმცა ეს ორი ისტორიული სუბიექტები სხვადასხვა ტემპერამენტისა, სხვადასხვა ხასიათისანი იყვენ; თუმცა მათ თანასწორი განათლება, ერთგვარი აღზრდა არ მიუღიათ, მაინც მათ თითქმის თანასწორი წვლილი შეუტანიათ გერმანიის მუშათა სოციალისტურ მოძრაობაში; მართალია, ლიბენეხტს შეეძლო ახალგაზდა ამხანაგებისთვის მეტი შეეძინა და ფაქტიურათ მეტიც შესძინა, მაგრამ არა ნაკლები შრომა და ღვაწლი მიუძღვის მას პრაქტიკულ აღზრდა-განვითარებაში. ბებელი დაჯილდოვებულია პირველ ხარისხოვან პრაქტიკულ ორგანიზატორული ნიჭით, საუცხოვო მცოდნე მუშათა კლასის სულიერ მიდრეკილების, გრძნობს და [illegible] ყველა ჩუმ ტკივილებს. ერთი სიტყვით, ლიბენეხტი თავი იყო და ბებელი კიდევ გული გერმანიის მუშათა მოძრაობისა.

ბებელის პრაქტიკულ ნიჭს, მის პრაქტიკულ გამოცდილებას, თეორიულ მომზადებას, ვიმეორებთ, დიდი ღვაწლი მიუძღვის გერმანიის სოციალდემოკრატიულ მუშათა მოძრაობის აღორძინებაში მის სამაგალითო გაძრიელებაში; უკანასკნელს კი დიდი სამაგალითო მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო მუშათა მოძრაობისთვის. ამისათვის, დღეს ზნეობრივათ მოვალეა მთელი ქვეყნის პროლეტარიატი გერმანიის სოციალდემოკრატებთან ერთათ გულით იდღესასწაულოს ავგუსტ ბებელის 70 წლის იუბილეი...

შ.

## დაგვიანებული დასაბუთება.

ყველას, რასაკვირველია კარგათ გვახსოვს წ. კ. გამ. საზ. უკანასკნელი კრებები. ისიც არ დაგვიწყებია, რომ კრება ორ ბანაკად გაჰყო, სხვათა შორის, ერთ მანეთიანმა კითხვამ.

ჩვენ ვამბობდით, რომ საჭიროა საწევრო ფული სამი მანეთიდან ერთ მანეთზე ჩამოსულიყო; ჩვენ ვამტკიცებდით, რომ საჭიროა „საზოგადოებას“ ფართოთ გაეღო თავისი კარები, რათა მეუძლებელ ნაწილს ქართველ ხალხისას შეეძლოს ამ „საზოგადოებაში მონაწილეობის მიღება.

ჩვენ გვსურდა, რომ ეს საზოგადოება გამოცოცხლებულიყო, გამოცოცხლება კი, ჩვენის აზრით, „საზოგადოების“ დემოკრაციზაციას შეეძლო.

ჩვენ დარწმუნებული ვიყავით და დღესაც ვართ, რომ თუ ამ „საზოგადოებაში“ ახალი ძალები არ შევიდენ, რომელთაც შეუძლიათ მეტი სურვილი, ენერგია და მუშაობის უნარი გამოიჩინონ, —„საზოგადოება“ წელს ვერ წამოსწევს და ადრე თუ გვიან სრულიათ მოკვდება. ყოველივე ამას ვამბობდით ჩვენ, ერთი ბანაკი.

მეორე ბანაკი, რომელშიაც შედიოდა სხვა და სხვა ჯგუფის წარმომადგენელნი, მანეთიანის წინააღმდეგი იყო. მერე, რით ასაბუთებდენ **მაშინ** თავის წინააღმდეგობას? **დღევანდელ პირობებში,**—ამბობდენ ისინი,—**გამანეთიანების ნებას არავინ არ მოგვცემსო.** ეს იყო მათი საბუთი, თუ შეიძლება ამ მოსაზრებას საბუთი უწოდოთ. არავითარ „სიკვდილის ცელზე“ მაშინ ისინი არ ფიქრობდენ და არ მიგვითითებდენ; არავითარი სხვა რამ შიში მათ არ აფიქრებდათ; ყოველ შემთხვევაში, სხვა საბუთი მათ არ მოუყვანიათ, რაც ცხადათ სჩანს უკანასკნელი კრების ანგარიშიდან.

და როდესაც კრებამ სამასი მუშის თხოვნა საწევრო გადასახადის ერთ მანეთამდე შემცირების შესახებ უყურადღებოთ და უპასუხოთ დასტოვა, ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ: წ. კ. გამ. საზ. არ სურს მუშებისათვის კარების გაღება; ის წინააღმდეგია „საზოგადოების“ დემოკრატიზაციის.

გავიდა ორი თვე. გამოიცა შინაგან საქმეთა მინისტრის ისტორიული ცირკულიარი, და მეორე ბანაკი „დროების“ ფურცლებზედ ალაპარაკდა.

თებერვალში გამოცემული ცირკულიარით ასაბუთებენ დეკემბრის გადაწყვეტილებას. ეს სასაცილო იქნებოდა... სავალალო რომ არ იყოს, მაგრამ საქმე ამით როდი თავდება. ამ ბანაკს კიდევ, შეეძლო თავი ემართლებია თავისი წინასწარმეტყველური ნიჭით. მას შეუძლია სთქვას: მართალია, ცირკულიარზე მაშინ არავინ არ ფიქრობდა, მაგრამ ჩვენ წინასწარი გრძნობა ძლიერ განვითარებული გვაქვს; მომავალი სიტუაციის გათვალისწინება შეგვიძლია; მთავრობის სურვილების და სულისკვეთების გამოცნობის ძალა შეგვწევს; ერთი სიტყვით, ჩვენ დეკემბერში ვიცოდით მთავრობის თებერვალში გამოთქმული განზრახვა და სწორედ ამისათვის ვიყავით მანეთიანის წინააღმდეგიო.

თუ ცირკულიარმა მართლაც გაამართლა „დროების“ აზრი, დეე დაგვიანებულმა საბუთმა ისაბუთოს; დეე „დროება“ ჩვენზე უფრო წინდახედული პოლიტიკი და ტაქტიკი იყოს.

ამისთვის საჭიროა ცირკულიარის დედააზრით და მიზანი გავიგოთ.

ისტორიული ცირკულიარი განმარტავს ცნობილ 4 მარტის, 1906 წლის საზოგადოების კანონს.

ამ კანონის ძალით ნებადართულია საზოგადოებები ეკონომიური და კულტურულ-განმანათლებელი ინტერესების დასაცველათ. ეს კანონი ეხება როგორც რუსეთის შუაგულ მკვიდრთ, აგრეთვე განაპირა ქვეყნების მცხოვრებლებს. ეს საერთო კანონია.

ცირკულიარი ეხება განაპირა ქვენებს და განმართავს: თუ „საზოგადოების“ მიზანი **მიმართულია ეროვნული განკერძოებისაკენ და ეროვნული შუღლის გაღრმავებისაკენ,** ადგილობრივ უმაღლეს ადმინისტრაციას უფლება აქვს ამისთანა „საზოგადოებას“ ნება არ დართოს და ნება-დართული დახუროსო.

გამოცანა მეტათ მარტივი და ადვილია. არავითარ დემოკრატიზაციაზე აქ ლაპარაკი არ არის. აქ არის დასმული კითხვა მუდამ მოძველებული და მუდამ ახალი: ეს არის ეგრედ წოდებული „ინოროდცების“ კითხვა და სხვა არაფერი. აქ არის მთელი რუსეთის იმპერიის „ინოროდცების“ გამარუსებელი პოლიტიკა.

ათი კაციდან შედგება „საზოგადოება“ თუ ათასი კაციდან—ეს მთავრობისათვის სულ-ერთია. ის მხოლოდ იმაშია დაინტერესებული, რომ ამ „საზოგადოებაში“ **ეროვნულ განკერძოვებას** ადგილი არ ჰქონდეს. მეტსაც ვიტყვით: „ეროვნული შუღლი“ ამ ცირკულიარისათვის სულ მეტი ბარგია; ის მხოლოდ და მხოლოდ გასალამაზებლათ, თავი-და-თავი მიზნის შესამსუბუქებლად არის შიგ ჩართული.

თუ ეს ასეა, „დროებას“ ეს ცირკულიარი დაგვიანებულ საბუთათაც კი არ გამოადგება და კითხვა ისევ კითხვათ რჩება: რისთვის არ შეამცირეთ საწევრო გადასახადი?

ჩვენ გავიმეორებთ ჩვენს პასუხს: წ.-კ. გამ. საზოგადოება თქვენ თქვენს სამფლობელოთ მიგაჩნიათ და არ გსურთ შიგ მუშების მიღება.

ორი თვე სდუმდით და მხოლოდ ცირკულიარმა აგალაპარაკათ, მაგრამ ვერც ის გიშველით.

ცირკულიარსაც კი სწორი გაგება და ახსნა უნდა. იკა.

## პატარა საუბარი,

VI

ბევრჯერ თქმულა და მეტი არაა ერთხელ მეცა ვთქვა, რომ რევოლიუციის ახალ საფლავიდან ამოდის ხოლმე შმორი, რომელიც რყვნის და ბილწავს საზოგადოებრივ ატმოსფერას, მაგრამ ეს რევოლიუციის ბრალი როდია, არამედ—მისი ანტიპოდის—**რეაქციის:** უკანასკნელი სასაფლაოა პირველის და ამ შმორის სათავეც. ეს მოწამლული ჰაერი ყველაზე უფრო სასტიკათ ინტელიგენტურ წრეებზე მოქმედებს, თავის თავათ ცხადია. რუსეთში მან უკვე იდღესასწაულა თავისი „ყველიერი“ და ახლა რამდენათმე გაიფანტა, სასიხარულოთ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ხსენებული „ყველიერი“ რამდენათმე მდარე გამოდგა იმ თავითვე. ეჭვი არაა, ჩვენც გაგვიჩნდა „ნიშადური“, აკობია და სხვები, უკანასკნელათ „პარტიის კაცი“-ც კი მოგვევლინა, მაგრამ ყველა ეს, მიუხედავათ მათგან ხმარებულ გასვრილ საშვალებათა, **პოლიტიკურ ბრძოლის** ნიადაგზე აღმოცენდა და აქედან შეუპოვარ **ბრძოლას** იწვევდა მეორე მხრიდანაც, რაიც ბოლოს და ბოლოს დადებითი შედეგებს იძლეოდა. სულ სხვას ვხედავთ რუსეთში: პორნოგრაფიას, ნიჰილიზმს და სხ...

აწმყო ცხოვრების სიდუხჭირე მუდამ იწვევს განსაკუთრებით ინტელიგენციაში დიდ წყურვილს რამენაირათ თავი დააღწიოს მას ოცნების სამფლობელოში მაინც, როცა ეს სინამდვილეში არ შეიძლება. ერთი მთრთოლარე ხმით და აღხხებული თვალებით იყურება მომავლისაკენ, მეორე—წარსულისკენ გაიყურება და იქ ეძებს მასალას თავის საოცნებო კოშკის ასაგებათ. ერთიც და მეორეც შეყვარებულია კონტრასტებში, ორივე ზიზღით უცქერის აწმყოს და თავის ოცნებებში მაინც წარმტაც სამოთხეს ხატავს! სათავე ამ ოცნებისა და ლტოლვისა დიახაც წინ წამწევია. აწმყოს სიმუხთლე უნდა გვძულდეს, უამისოთ შეუძლებელია რამე იდეალი. თუ ეს მიდრეკილებაც გავრცელებულა ჩვენს ინტელიგენციაში ამ რეაქციის ჟამს, ისიც კარგი...

სწორეთ ამ მოვლენათა კრებულს ეკუთვნის უკანასკნელათ გავრცელებული წყურვილი საქართველოს მდიდარ წარსულის შესწავლისადმი. დიდათ სასიამოვნოა ისტორიულ კვლევა-ძიებათა გაღრმავება და მისი ნაყოფის ცალკე წიგნებათ თუ პერიოდულ ორგანოებში გამოქვეყნება. ამიტომ ხალისით ვკითხულობდი მაგ. ბ. ივ. ვართაგავას მიმოხილვას ჩვენი ძველი მწერლობისას „საქართ. მოამბე“-ში. ავტორი მრავალ საბიბლიოგრაფიო ცნობებს იძლევა იმათთვის, ვისაც სურს საგანი საფუძვლიანათ შეისწავლოს.

მაგრამ ბ. ვართაგავა არ სჯერდება თავის სფერას და ლამობს აგრეთვე ჩვენი წარსულ ცხოვრების გაშუქებას. აქ კი მას ღალატობს მეცნიერული სიმტკიცე და ისტორიულ კრიტიკის მაგიერ ერთ-ერთ ზემო-მოხსენებულ „კოშკს“ გვაწვდის. იგი ყოველ ნათელ მხარეს ჩვენი ისტორიულ წარსულიდან თითქმის მარტო გვირგვინოსან პიროვნებათ აწერს. იგი ამ შემთხვევაში ემყარება მრავალ წყაროებზე, მაგრამ სრულიად უკრიტიკოთ და გულუბრყვილოთ. არაა ნატამალიც დამოუკიდებულ და ახალ აზროვნებისა. მას არ დავიწყნია არც ს. ქვარიანი, რომლის უსაზღვრო ხოტბა თამარისადმი შეიძლება კარგი გასართობია, მაგრამ ვეჭვობ იმდენათვე მეცნიერული იყოს. თამარის ხანა უეჭველად სასიქადულოა ქართველთათვის, მაგრამ ამან არ უნდა გაგვხადოს იმ დროულ ჩახრუხაძეებათ. აგერ ცხრა საუკუნე გადის მას აქეთ და დროა საგანს უფრო ფრთხილათ ვექცეოდეთ. ჩვენს მწერლობაში წარსულზე დღესაც თითქო გაბატონებულია შემდეგი შაბლონური მეთოდი: როცა ლაპარაკი ქვეყნის აღორძინებაზე ჩამოვარდება, მაშინ ცალკე პიროვნებანი გამოდიან ყველაფრის მიზეზათ და დასაბამათ; როცა კი ქვეყნის დაქცევაზეა ბაასი, მაშინ გარეშე მტრები არიან ისეთ როლში. მე ვშიშობ, ამ ჩვენმა ისტორიკოსებმა თვით თამარი და სხვები „მიფებათ“ არ გვიქციონ, როგორც ეს კიდევაც არის ქცეული ხალხურ თქმულებაში...

წინწკალი.

# ობოლთ მხსნელი

(ვუძღვნი „ჯეჯილის“ რედაქტორს ანასტასიას.)

ღრუბლიანი დილა იყო,
მზე არ მოჩნდა სხივგაშლილი,
ცივი ქოხი ზუზუნებდა,
კვნესდა ქარი წამოხრილი.

იქვე ახლო ქუჩის პირას,
იხსდენ ერთად გიგლა, თინა,
მუხლთ იყრიდენ მოწიწებით,
გამვლელ-გამომვლელის წინა.

პურს ითხოვდენ, მაგრამ არვინ
არ აქცევდათ ყურადღებას
და უკვნესდათ სული, გული,
ეძლეოდენ მწუხარებას.

მაგრამ ბოლოს ფერ-მიხდილი
მათ წინ შედგა ვიღაც ქალი,
დაუყვავა, ანუგეშა
და გაუქრო ჰჳუნვის ალი.

„ვინ ხართ, შვილნო? კითხა ტკბილათ,—
აქ რათ ზიხართ ქუჩაზედა?
— ობლები ვართ უპატრონო,
არ გვყავს მამა, არცა დედა.

გვშია, მაგრამ პური არ გვაქვს,
არც არავინ მოგვიტანა
და შიმშილით ვიხოცებით,
ღონეს ვკარგავთ თანდათანა...“

შეკრთა, ცრემლი მოერია,
დადნა მათი სიბრალულით
და აეგზნო, გაიმსჭვალ,
მშობლიური სიყვარულით.

დატრიალდა როგორც ჯარა,
ხელუხლები მოხნა ველი
და დათესა შიგ ხორბალი,
არ მიაკლო შრომის ხელი.

ლაჟვარდ ცასა ნამი სთხოვა,
ღრუბელს—წვიმა, მზეს სხივები,
დააქარგა ყანას გულზე
მომხიბლავათ, ვით მძივები.

და შიგ მადლი დატრიალდა,
აყვავილდა მსწრაფლ „ჯეჯილი“,
მომკო ობლებს მიუტანა
და მოუკლა მით შიმშილი!

—

ოცმა წელმა განვლო შემდეგ
რაც რომ მოხდა ეს ამბავი,
და ჩვენც გვმართებს, რომ მადლობით
მოვიხაროთ მის წინ თავი

და შევსძახოთ: ბარაქალა
მას, ვინც თვისი ნიჭი, ძალა
არ დაშურა ობლებისთვის,
ცრემლთ ნაკადი შეუშრალა,
სულიერი საზრდო მისცა,
ბრმა თვალები აუხილა,
რომ ცხოვრების უკმეხ გზაზე
გაარჩიონ ღამე, დილა!

ვ. რუხაძე.

# ახალი ამბები

✦ **პანაშვიდი.** დღეს, 21 თებერვალს, — ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დღის 12 საათზე გადახდილ იქნება წლის თავზე პანაშვიდი ჟენევაში გარდაცვალებულ იასონ ბახტაძის მოსაგონებლათ.

✦ **თფილისის ტრამვაი.** 20 თებერვალს ტრამვაის დირექციამ სახელოსნოში მომუშავე დურგლებს (18 კაცია) გამოუცხადა: არსებული შრომის პირობები ამიერიდან შეცვლილი იქნება და ისინი, ვინც არ ისურვებენ ახალ პირობებში იმუშაონ, ორი კვირის შემდეგ დათხოვნილი იქნებიან და არას შემთხვევაში უკან არ მივიღებთ ადგილზეო, რომლებიც არ ისურვებენ ახალ პირობებში მუშაობას, არსებული ხელშეკრულობის მე-25 მუხლის თანახმათ მიიღებენ ჯილდოსო. ეს მუხლი ამბობს 6 თვეზე მეტ ნამსახურს—დათხოვნის დროს ჯილდოთ მიეცემა თვე-ნახევრის ჯამაგირი, წლის ნამსახურს—2 თვის, 2 წლის ნამსახურს—4 თვის, 3 წლის ნამსახურს—5 თვის და 3 წლისაზე მეტის ნამსახურს—6 თვის ჯამაგირი.

✦ **სახადი ზუგდიდის მაზრაში.** ზუგდიდიდან დაწვრილებითი ამბები მივიღეთ. ციხეში სახადით გადაცვლილა სულ 8 კაცი. ამ ჟამათ ავათმყოფობს 7. სახადი სოფლებშიაც მძვინვარებს: ს. ხეთოში, ლესიჭინეში და მოსალოდნელია თვით ზუგდიდშიაც გაჩნდეს.

✦ **თფილისის ჟურნალისტთა საზოგადოების** წევრთა საზოგადო კრება მოხდება დღეს ქალაქის შენობაში დღის 11 საათზე.

✦ **დადიანების მამულის გაყიდვა.** სამეგრელოდან გვატყობინებენ: სადადიანო მთები „დვირა და ჩეგოლა“—მალე გაიყიდება. ერთი მემამულეთაგანი ამ ჟამათ მოსკოვში იმყოფება სადაც ბელგიელ კაპიტალისტებთან მოლაპარაკება აქვს გამართული. როგორც იტყობინებიან, ბელგიელები მთების ყიდვაზე თანხმდებიან. ხსენებულ მთებში რკინის გზას გაიყვანებენ.

✦ **ვლად. ალექსი-მესხიშვილის ბენეფისი.** დღეს, 21 თებერვალს, ქართულ თეატრში ქართულ დრამ. საზოგადოების დასის მიერ ვლ. ალექსი-მესხიშვილის საბენეფისოთ მისი მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველათ ქართულ სცენაზე ლ. ტოლსტოის მიერ გადმოკ. დრამა „შავი ბერი“, თარგმანი ვლ. ალექსი-მესხიშვილისა.

✦ **ტელეფონის შეკეთება.** თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა გუბერნატორს აცნობა, რომ მიმდინარე წლის ზაფხულში დაიწყება თფილისის ტელეფონის შეკეთება. რადგან ამისათვის საჭიროა ქუჩების „ნივილიროვკა“, ამიტომ ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი სთხოვს გუბერნატორს ნება დართოს მას ქუჩების „ნივილიროვკა“ მოახდინოს.

✦ **კერძო თათბირი.** 18 თებერვალს შესდგა ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კერძო თათბირი, შესახებ შემფასებელ კომისიის წევრთა არჩევნებისა. თათბირმა დიდხანს გასტანა. დაადგინეს: კომისიაში არჩეულ უნდა იქნენ ისეთი პირნი, რომელთაც მეტი თავისუფალი დრო რჩება სამსახურშიო. კანდიდატებათ აირჩიეს ვ. ი. რცხილაძე და ხმოსნები. მინეევი, ქართველოვი, სვეშნიკოვი, ტიგრანოვი და კუჩენბახი.

✦ **ციხის შენობა..** გადაწყვეტილია თფილისში ააგონ საგუბერნიო ციხის ახალი შენობა. ციხეების მთავარ სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვით ციხის შენობა 700,000 მ. დაჯდება. მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ციხეების სამმართველომ ამ საქმისათვის 200,000 შეიტანა. ციხეში 2,000 კაცი მოთავსდება.

✦ **ცეცხლი სურამში.** სურამიდან გვატყობინებენ, რომ იქ ვიღაც ბოროტმოქმედთ, ადგილობრივ საბოქაულო სამმართველოსათვის ცეცხლი წაუკიდებიათ. საქმის ქაღალდები არ დამწვარა. ცეცხლი მალე ჩაუქრიათ.

✦ **დიდუბის გზა.** ქალაქის გამგეობამ ინჟინერ ნ. ა. აბელოვს მიანდო შეადგინოს გზის გეგმა, გზა მიხაილოვის ქუჩიდან დიდუბემდე უნდა გაიყვანონ. აბელოვის გეგმით ეს გზა საბალოსნო სკოლის ეზოში გაივლის. გზის გაყვანა დაჯდება 27,000 მ.

✦ **ლექცია სახალხო სახლში.** დღეს, 21 თებერვალს, სახალხო სახლში სახ. უნივერსიტეტის სასარგებლოთ საოსტა-

ტო ინსტიტუტის მასწავლებელი ა. კ. ვერესოვი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ალკოგოლიზმი და ბრძოლა მასთან“. ლექციის შემდეგ გაიმართება კონცერტი.

**სამგლოვიარო წერილი.** გული დაგვწყვიტა ამხანაგ ალექსანდრე ნ. ბახტაძის მოულოდნელმა გარდაცვალებამ. მასწავლებლები: მირიან, სერაპიონ, დომენტი, ანდრო და თეოფილე რამიშვილები. პანტელეიმონი, სევასტი, ნოე, ონისიმე და იულონ რამიშვილები.

**საბავშო კითხვები:** დღეს, 21 თებერვალს კავკასიის სამკურნალო საზოგადოების დარბაზში ქ. ავალიანი წაიკითხავს ქართულად პატარებისთვის „წითელი ფარანი“, ხოლო უფროსთათვის ქ. ახალშენიშვილი წაიკითხავს „ძაღლები“. კითხვა დაიწყება 11 საათზე.

— დღესვე ავჭალის აუდიტორიაში ქ. ბარნაბიშვილი ქართულად წაიკითხავს „შარიკი“ უმცროსთათვის, უფროსთათვის ქ. ელიავა წაიკითხავს „რამდენიმე სურათი ყაჩაღების ცხოვრებიდან“. დასაწყისი ათი საათიდან.

**მოხერხებული ვაჭრობა.** 17 თებერვალს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურემ ვ. მ. მჭედლიშვილმა პოლიციას განუცხადა, რომ ვიღაც უცნობებს მისთვის ძველი ფული უნდა მიეყიდნათ, მაგრამ, ფულის მაგიერ, მოტყუილებით მას ცემენტის ნატეხები მიაღებინეს, რისთვისაც უცნობებმა მისგან 600 მან. მიიღეს, ამათგან—100 მან. ეკუთვნოდა მას თვითონ,—500 მან. მის ამხანაგს ვ. ვ. ტრუცეცკის. მჭედლოვის განცხადების შემდეგ პოლიციაში შევიდა ქალი ვ. ვ. კოტელკოვიჩი და განაცხადა, რომ მის ძმას ვ. ტრუეცეცკის მჭედლოვმა 500 მ. დასტყუა, რომელიც მას ძველი ფულების საყიდლათ სჭიროდა. ეს ფულები მეკუთნოდა მეო, განაცხადა ქალმა. გამოძიებამ გამოარკვია: მჭედლოვი ორი კვირის განმავლობაში თხოვდა ტრუეცეცკის—500 მანეთი ესესხებია მისთვის იმ პირობით რომ ამის შესახებ პოლიციას არაფერი სცოდნოდა. ტრუეცეცკიმ დაუჯერა მჭედლოვს და ისესხა თავის დისაგან კატელკოვიჩიდან 500 მანეთი და მჭედლოვს გადასცა მაგრამ როცა ნაყიდი საქონელი მოსთხოვა მას, მჭედლოვმა პატარა ტამრიკა აჩვენა, რომელიც ცემენტის ნატეხებით იყო ავსებული. როცა თავისი ფული მოითხოვა— ფულის მაგივრათ მჭედლოვმა ქაღალდების ნახევები უჩვენა. მჭედლოვი პოლიციამ შეიპყრო. დანაშაულობაში გამოტყდა და კატოლნიკოვიჩს 200 მ. ფული და 300 მ. ვექსილი გადასცა.

**თფილისის აბანოები.** ამ დღეებში ქალაქის სანიტარულ კომისიამ დაათვალიერა წოვიანოვის, არგუთინსკისა და თამამშევის აბანოები, სადაც დიდი უსუფთაობა აღმოაჩინეს. კომისიამ ოქმები შეადგინა და დაადგინა იშუამდგომლოს ქალაქის წინაშე დახურულ იქნას ეს აბანოები მანამ, სანამ სისუფთავეს არ აღადგენენ.

**ჩამოხრჩობა.** 20 თებერვას სისრულეში მოიყვანეს კავკასიის სამხედრო სასამართლოს ამა წლის 8 თებერვლის დადგენილება; ჩამოახრჩეს გ. გ. ტასოშვილი, რომელსაც ავაზაკობაში მონაწილეობის მიღება ბრალდებოდა.

**უგზო-უკვლოთ დაკარგული.** თფილისის პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა ენერგიული ზომები მიიღონ ბოქაულებმა ა. დ. ავეტისიანცის მოსაძებნათ, რომელიც 2 თებერვალს ბინიდან გავიდა და სახლში ჯერ არ დაბრუნებულა.

**გამოვიდა ჟურნ. „სხივის“** მორიგი ნომერი შემდეგის შინაარსით: დემონს, ლექ. ვ. რუხაძისა, გამოთხოვება თარგმანი ფაკირაძესი, დაკარგულ ნუგეშს, ლექსი კ. გოგოლაძისა, სანდრო—მოთხრობა ს. პართენაშვილისა, ნაღველი, ლექსი—ქუჩიშვილისა, საღამოს ჟამს, მოთხრობა — თურდოსპირელისა, შავი გველი—დრამა მალაქიაშვილისა,—ჰენრიხ იბსენი შვარცისა და სხვ.

# უკანასკნელი ფოსტა

## ახლო-აღმოსავლეთი

**ჩერნოგორიის ემიგრანტები.** ბელგრადიდან იტყობინებიან, რომ სოციალისტმა დეპუტატმა მთავრობას შეკითხვა მისცა სერბიიდან განდევნილ ჩერნოგორიის ემიგრანტების შესახებ. მინისტრ-პრემიერმა—პაშიჩმა დეპუტატს უპასუხა, რომ ჩერნოგორიელი ემიგრანტები სერბიაში საზოგადოებრივ მშვიდობიანობას არღვევენ და ეს გარემოება ცუდ გავლენას ახდენს მოსაზღვრე სახელმწიფოებზეო. შეკითხვის ავტორი პრემიერის პასუხმა ვერ დააკმაყოფილა.

## საზღვარ-გარეთ

**საარჩევნო ბრძოლა.** უკანასკნელი კვირის განმავლობაში პრუსიის ცენტრალურ ქალაქებში მთავრობის საარჩევნო პროექტის წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგები გაიმართა. ბერლინში, ბუშის ცირკში დიდი მიტინგი გაიმართა, რომელზედაც მონაწილეობა მიიღეს მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის და ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენლებმა. მიტინგს დაესწრო სულ 8,000 კაცი. საარჩევნო რეფორმა, კანცლერის პოლიტიკა და პრუსიის რეჟიმი სასტიკ კრიტიკის ქვეშ გაატარეს მოლაპარაკე ორატორებმა. ორატორები იმ ჯგუფების სახელით, რომელთაც ახალი პროექტის ძალით უპირატესობა ეძლევათ არჩევნებში, უარს აცხადებდნენ ამ უპირატესობაზე და მოითხოვდნენ პრუსიის ყველა მცხოვრებთათვის თანასწორ უფლებას. ორატორების სიტყვების დროს მსმენელებიდან მთავრობის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო შენიშვნები მოისმოდა. ორატორებს ხალხი აღტაცებით ეგებებოდა და ტაშისცემით აჯილდოვებდა. მიტინგმა რეზოლიუცია მიიღო, რომ პრუსიაში შემოღებულ იქნას საერთო-საიმპერიო საარჩევნო წესი. რადგან ცირკი ხალხით გაიჭედა და ტევა აღარ იყო, გარეთ დარჩენილმა რამდენიმე ათასმა კაცმა ღია ცას ქვეშ გამართა მიტინგი. თავზარდაცემული პოლიცია, რომელიც ამდენი ხალხის შეკრებას არ მოელოდა, განცვიფრებული შეჰყურებდა შეკრებილ ხალხს. მიტინგის შემდეგ ხალხმა დემონსტრაცია გამართა კრონპრინცის სასახლის წინ. დემონსტრანტების წრიდან მოისმოდა: „ძირს ბეტმან-გოლვეგი!“ „გაუმარჯოს საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ საარჩევნო უფლებას“! დემონსტრანტებმა გაიარეს უმთავრესი ქუჩები. პოლიციელებთან შეტაკება არ მომხდარა.

მიტინგზე დამსწრეთა რაოდენობით ბერლინს ფრანკფურტმა გაუსწრო წინ. აქ სოც. დემოკრატებმა სხვა ოპოზიციონურ პარტიებთან ერთად გამართეს მიტინგი, რომელსაც 50,000 კაცი დაესწრო. რადგან ამდენი ხალხის შენობაში მოთავსება შეუძლებელი იყო, მიტინგი გაშლილ მოედანზე გაიმართა. ორატორები კრიტიკას უკეთებდნენ საარჩევნო რეფორმას და დიდათ კიცხავდნენ პოლიციელებს დემონსტრაციების დროს მომხდარი სისხლის ღვრისათვის. მიტინგმა რეზოლიუცია მიიღო, რომლითაც მოითხოვს საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ საარჩევნო უფლებას და აცხადებს ბრძოლა არ შესწყვეტონ სრულ გამარჯვებამდე.

გაზეთები ერთ-ხმათ აღნიშნავენ, რომ 1848 წ. ივლისის დღეების შემდეგ,—არაფითარი ამის მსგავსი არავის არ უნახავსო.

**სოციალისტები და სინდიკალისტები.** პარიზიდან „რ. ს.“ ატყობინებენ, რომ სოციალისტებსა და სინდიკალისტებ შორის ჩამოვარდნილი განხეთქილება სერიოზულ ხასიათს ღებულობს. სინდიკალისტებმა ქალაქში განცხადებები გააკრეს რომლითაც სოციალისტებს ემუქრებიან საარჩევნო კრების ჩაშლას, თუ სოციალისტები მხარს დაუჭერენ მოხუცებულ მუშებს პენსიის სახით უზრუნველ ყოფას.

## რუსეთი.

**ტოლმაჩევი ოდესაში.** პეტერბურგიდან ოდესაში დაბრუნდა გენ. ტოლმაჩევი, რომელსაც რკ. გზის სადგურზე შეხვდენ ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელნი და „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მთელი შემადგენლობა. ტოლმაჩევის გაცილების შემდეგ ჭ. რ. კავშირის წევრებს ჩხუბი მოუვიდათ. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ოდესის ჭ. რ. კავშირის თავმჯდომარეს გრაფ კონოვნიცინს დიდძალი ფული გაუფლანგავს და კავშირის წევრებს ანგარიშს არ აძლევს. ამიტომ კავშირის ერთი ნაწილი კონოვნიცინის წინააღმდეგ ამხედრდა და თავმჯდომარეთ მამაშვილი ზაიჩენკოები აირჩიეს. აი, ამ ორ მოწინააღმდეგე კავშირის ნაწილებს შორის მოხდა შეტაკება. საქმეში პოლიცია ჩაერია და უწესოებას ბოლო მოუღო. კავშირის რამდენიმე წევრი დაატუსაღეს.

## მცირე შენიშვნა

წელს სახაზინო თეატრში საგასტროლოთ ჩამოვიდა მომღერალი ქალი ვან-ბრანდტი. არ ვიცით, მუშების ერთმა ჯგუფმა თუ სხვა ვინმემ, მუშების სახელით ქ-ნ ვან-ბრანდტს სთხოვა ზუბალაშვილების სახლობის სახ. სახლში დაედგა ცნობილი ოპერა „ტრავიატა“, ხელმოკლე ხალხს ხელმისაწვდენ ფასებში შეძლება მისცემოდა ოპერაზე დასწრებისა. დიდი ხნის მზადების შემდეგ, ქ-ნი ვანბრანდტი გამოვიდა სახალხო სახლში ოპერაში. ჩვენ, რასაკვირველია, ასეთ განზრახვას ყოველთვის თანაგრძნობით შევეგებებით, შეძლებისა და გვარათ დახმარებას გავუწევთ ინიციატორთ და სხ., მარა არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ხსენებული საქმის ინიციატორთა ერთი ახირებული საქციელი.

ქ-ნ ვან-ბრანდტისათვის, როგორც «თფილისის ფურცელი» გადმოგვცემს მუშების წარმომადგენელს «მთელი თფილისის მშრომელი და ღარიბი კლასის სახელით» ადრესი მიურთმევიათ. რასაკვირველია, თვით ადრესის მირთმევაზე ზოგიერთ შემთხვევაში, აბა, ვის რა უნდა ქონდეს წინააღმდეგი, მარა როცა ასეთი შინაარსის ადრესს «თფ. მთელი მშრომელი და ღარიბი კლასის» სახელით ასაღებენ, არ შეგვიძლია პროტესტი არ გამოვუცხადოთ და არ აღვნიშნოთ. ცალ-ცალკე ჯგუფებს შეუძლიათ, როგორიც უნდათ ისეთი ადრესები წერონ, მარა მთელი მუშების სახელით ასეთი ადრესების გასაღების უფლება არავის არ აქვს. მე დარწმუნებული ვარ, რომ «თფილისის მთელი» მუშები ასეთ ადრესზე ხელს არ მოაწერდენ და აუცილებლათ მოითხოვდენ ისეთი „ლაქიური“ წინადადების ამოშლას, როგორიც არის „бьемъ вамъ челомъ“ და სხვა ასეთებს. საჭიროა ასეთი საქმის ინიციატორებმა ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრონ, რომ საერთოთ მუშების სახელით ლაპარაკი მხოლოდ მუშების რწმუნებულთ და არჩეულთ შეუძლიათ. ინიციატორმა უნდა ილაპარაკოს მხოლოდ იმათი სახელით, ვინც მათ მიანდო და არ მოახვიოს თავზე თფ. მთელ მუშებს ისეთი „ლაქიური“ ადრესები, რომელსაც ადგილი ქონდა ამ შემთხვევაში.

საერთოთ მუშების სახელით ასეთ შემთხვევებში მოქმედება, ეს არის მუშების სახელით ექსპლოატაცია, ნამდვილი „სამოზვანცობა“ და მეტი არაფერი.

**ერთი მუშათაგანი.**

# პროვინცია

**თელავი.** თელავიც კარგა ბლომათ ჩამოთოვა და საგრძნობელი სიცივეები დაიჭირა. გაჩნდა რაღაც უცნაური სენი, რომელმაც აგერ თითქმის ჯერჯერობით ათი ადამიანი გამოასალმა წუთი სოფელს. მთელ თელავში ერთი ექიმი არის და რასაკვირველია, მას არ ძალუძს დააკმაყოფილოს ხალხის ყველა მოთხოვნილებები. თანაც ამ ექიმს ხშირათ უხდება თელავიდან გასვლა და თელავი კი სულ უექიმოთ რჩება რამოდენიმე დღე. სხვადასხვა ავათმყოფობის გავრცელებას ძლიერ უწყობს ხელს უთვალავი სიბინძურე ქუჩებზე. ხალხი გაწმენდაზე არავინ ფიქრობს. ქალაქის თვითმართველობას სძინავს. მამები თვეში ერთხელ თუ მოიყრიან თავს და მაშინაც არაფერს აკეთებენ. პოლიციაც ქალაქის სისუფთავეს სრულებით არ აქცევს ყურადღებას. ან კი სად სცალიათ! ცხრა საათიდან მეკიდებული შებინდებამდის დავთრებით დადიან და „აცენკის“ ფულსა ჰკრეფენ. არავითარი კულტურული დაწესებულება აქ არ არსებობს და სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ აქაური მუშები ლოთობაში და კარტის თამაშში ატარებენ მთელ თავის სიცოცხლეს. ჟურნალ-გაზეთები სანთლით რომ ეძებო აქ, ვერ იპოვნით. წარმოდგენები თუმცა ხანდისხან იმართება, მაგრამ ფასები დიდია და მუშებს შეძლება არა აქვთ დაესწრონ. ქანდარაზე უკანასკნელი რიგი ღირს 40 კაპ. არის ინტელიგენტთა ძალა. იმის მაგივრათ, რომ რამე თვითშეგნება შეიტანონ ხალხში, კლუბში ბანქოს თამაშში ატარებენ მთელ დღე და ღამეს. არ შემიძლია ერთ გარემოებას არ მივაქციო ყურადღება, რომელიც კაცს თვალებში ეჩხირება. ქალების პროგიმნაზიის ახლოს არის კარგათ მოწყობილი ღვინის დუქანი. გზა მოსწავლეთათვის ამ დუქნის ახლოს არის. ისმის არღნის ჭყივილი, მთვრალების დაუსრულებელი ლანძღვა-გინება, მათი არა-ადამიანური მოქცევა და ყველა ეს ხდება მოსწავლე ქალების თვალწინ. კანონის ძალით ამნაირ დუქანს არ უნდა ჰქონდეს ადგილი სასწავლებლის ახლოს. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ—„სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოდ“. **ნ.**

**სად. აჯიკაბული.** საზოგადო წესათ არის შემოღებული რკინის გზის მოსამსახურეთა შორის, რომ გადაყვანილ მოსამსახურეს გამოსათხოვარ სადილს უმართავენ. ასეთი „სადილი“ გაუმართეს 12 თებერვალს ორიოდე აგენტის თაოსნობით აჯიკაბულში სადგურის უფროსის თანაშემწეს ბ. მ—ვს. მონაწილეობა მიიღეს ბევრმა ისეთებმაც, რომლებსაც არავითარი კავშირი არ ქონიათ დასახელებულ თანაშემწესთან და არც კი სურდათ მონაწილეობა, მარა ინიციატორებს ხათრი აღარ გაუტეხეს. ბ. მ—ვს არაფრით არ დაუმსახურებია საზოგადოებრივი პატივისცემა და ეს მან თითონაც განაცხადა. მას, რადგანაც მდგომარეობა ხელს უწყობდა, შეეძლო თავისი წვლილი შეეტანა საზოგადო კულტურულ საქმეში. რამდენი ხანია ადგილობრივი ბიბლიოთეკა დახურულია და წიგნებს თაგვები ხრავენ. ბ. მ—ვს შეეძლო ეკისრნა ბიბლიოთეკის აღდგენა, მაგრამ ამისთვის მას თავი არ შეუწუხებია და ამ მხრივ ის საყვედურის ღირსიც არის.

მივაქცევ ამ კულტურულ საქმისკენ აქაურ მოსამსახურეთა ყურადღებას. მათი მოვალეობაა იზრუნონ ამ საქმისათვის და დამხმარე ბევრი აღმოუჩნდებათ. გამოსათხოვარ სადილების მართვას და ტკუილ-უბრალოთ ფულების ფლანგვას, უმჯობესია, ორიოდე გროში ბიბლიოთეკისათვის გაიღონ და თავიანთ გაუნუდ გონებას საზრდო მიაწოდონ. **—სა.**

**ხონი.** ეკონომიურათ დაცემულ გლეხობის ერთათ ერთი იმედი აბრეშუმია. ამით უნდა მიიშოონ ათასი გადასახადი, გამოიძიონ დაშეული კუჩი და შემოსონ ნახევრად შიშველ-ტიტველი ცოლ-შვილი. ჩვენ ბაზარზე ყოველ წლობით აუარებელი თესლი გამოდის სხვა და სხვა ფირმების სახელით და ყოველი ფირმის წარმომადგენელი ცდილობს, თავისი თესლი გაასაღოს. დღეს ახლოვდება ის დრო როდესაც ასეთი ჩარჩები ბაზარზე თავის მატყუარა რეკლამებით გამოვლენ და გამოუცდელ ხალხს უკანასკნელ გროშებს ამოაცლიან. საჭიროა მიექცეს ყურადღება ამ გარემოებას. აგრეთვე კარგს იზამს კუხის საამხანაგო ფარდული ერთ ვინმე გამოჩენილ სპეციალისტს მოიყვანდეს და შეუმოწმებლათ არ მისცემდეს ნებას ბაზარზე თესლების გაყიდვისას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრით წელს ბ-ნ იოსებ კაკაბაძემ იკისრა ძლიერ საპასუხისმგებლო საქმე და იმედია კიდევაც ღირსეულათ შეასრულებს თავის დაპირებას. **დროებით ხონელი.**

**შემოქმედის და ლიხაურის** (გურია) საზოგადოებებს სთხოვენ: პირველს თოძეს მეორეს—თაყაიშვილს. პირველი კატორღიდან გაქცეულა, ხოლო მეორე მეტეხის ციხიდან.

6 თებერვალს მოიწვიეს ლიხაურის და შემოქმედის საზოგადოებების ყრილობა. ყრილობაზე ხალხს გამოუცხადეს—მოგვცეთ გადამალული პირები, იმათ თქვენ ინახავთ და თქვენ აძლევთ საჭმელ-სასმელსო. ხალხმა გამოუცხადა ჩვენ მათი არაფერი არ ვიცითო.

ბოქაულმა განუცხადა ხალხს, რომ ნაბრძანები მაქვს, სანამდე არ ჩამაბარებთ ამ კაცებს, მანამდე ყველას გაგაჩერებთ, არც ერთს არ გამოუშვებთ და ყოველ დღე ყრილობებს გვმართავთო. შემდეგ მამასახლისებს მოსთხოვა სია ვინც დააკლდა ყრილობას. ყრილობას ვინც დააკლდა დააჯარიმეს თითო მანეთით. დასასრულ ბოქაულმა უბრძანა ხალხს დაშლილიყო და 9 თებერვალს კვლავ შეკრებილიყვენ.

9 თებერვალს მობრძანდა ბოქაული. ხალხს იგივე გამოუცხადა და დასძინა, რომ თუ ასე არ მოიქცევით, სამხედრო წესები გამოცხადდებაო. ყველას გადაგასახლებენ და გავაძლიერებთ რეპრესიებსო.

— **დვაბზუ და ბახვი.** 7 თებერვალს გაიმართა ამ ორი საზოგადოების შეერთებული ყრილობა. ვინც დააკლდა, ყველა დააჯარიმეს. ბოქაულმა ხალხს გამოუცხადა მოგვცეთ მამულაიშვილი და სხვა მავნე პირებიო. ამაზე დვაბზუს საზოგადოებამ უპასუხა: მამულაიშვილმა როცა ლიონტი დასჭრა, მაშინ ჩვენ გადაგვახდევიეთ ჯარიმა 3,000 მ. მას შემდეგ ჩვენ პასუხისმგებელი არა ვართო. ბოქაული დაემუქრა. მოიწვია ისევ ყრილობა 10 თებერვლისთვის და წავიდა. 10 თებერვალს კვლავ გაიმართა ყრილობა. ხალხს მუქარით მიმართეს. ხალხმა ისევ ის პასუხი მისცა ბოქაულს. ამ გვარი ყრილობები ყოველ დღე ხდება. ხალხი ყოველ დღე გამცდარია. ზარალი დიდია. ხუთი დღის განმავლობაში ხალხს ჯარიმა გადაახდევინეს ყრილობაზე დაუსწრებლობის გამო—ლიხაურისას 127 მ., შემოქმედისას 60 მ., დვაბზუსას 86 მ. ბახვისას—130 მანეთამდე.

შემოქმედის საზოგადოებას სთხოვენ აგრეთვე მამასახლისი გადააყენონ და პრიგოვორი დაადგინონ, რომ საჭიროა მთავრობის მამასახლისიო. ხალხმა უარი უთხრა „პრიგოვორის“ შედგენაზე.

— **ხვარბეთი.** სამი თვეა რაც ხვარბეთის საზოგადოებაში ეგზეკუცია არის. ყოველ დღე ყრილობები ხდება.

# მუშათა შორის

**დარკვეთი** (შორაპნის მაზრა). შავი ქვის სარეცხი ქარხანა. ყველანი მოულოდნელათ მოველოდით აქაური ქარხნის ამუშავებას, რადგან კრიზისით შეწუხებული ხალხი რამე ღდიურ ლუკმას ვიშოვნიდით და ცოლშვილს გამოვკვებავდით. მოლოდინი გაგვიმართლდა და აგერ თითქმის ათი თვეა იქნება აქაური ქარხანა მუშაობს ახალი საზოგადოების ხელში. წინათ ქარხანა საფრანგეთის უსახელო საზოგადოების ხელში იყო. ეს საზოგადოება ეხლა ალავერდის სპილენძის ქარხანას ამუშავებს. ეს საზოგადოება აქ ცნობილი იყო, როგორც სიმდიდრით ისე თავისი შემადგენლობითაც. ამ საზოგადოებამ რამდენიმე წელიწადია დაანება თავი აქ მუშაობას სხვა და სხვა მიზეზების გამო. უნდა მართალი ითქვას, რომ ჯამაგირიდან და დღიური ხელფასისაგან თუმცადა არც მაშინ ვიყავით დიდათ დაჯილდოვებული, მაგრამ სხვა და სხვა მოთხოვნილებისაგან კი უზრუნველ ყოფილი ვიყავით, როგორიც არის მაგალითად, ბინები, პლაშჩები, საპონი და სხვა მრავალი და დღეს კი ყველა ამაებს მოკლებული ვართ.

ეხლანდელ საზოგადოებას შეადგენს „ბელგიელთა საზოგადოება „ანტრეპენი“. ამბობენ, ახალ საზოგადოებაში ბერძნებიც შედიანო; მუშებიც ახალ წელთან ახალ რამეს მოველოდით ჩვენი ბედ-კრული ცხოვრების შესამსუბუქებლად, მაგრამ ახალი ჩვენთვის მხოლოდ ის დარჩა, რომ დირექტორმა ახალი განცხადება გამოაკრა, სადაც აცხადებს, რომ 1 მ. 10 კ. მაგიერათ ჩვენ ქარხანაში მომუშავეებს 90 კ. ეძლევათ რვა საათში. ამ ნაირმა განცხადებამ მუშებში ძლიერი უკმაყოფილება გამოიწვია.

მივმართეთ ინჟენერ ავდეევს, (სამთავროდნო ინჟენერია) ეშუამდგომლა, რომ თუ მთლათ არა, შუაზე მაინც გაეყოთ დაკლებული პროცენტები, ბ. ავდეევმაც რაც შეიძლებოდა გაგვიწია შუამდგომლობა „ხაზეინებთან“, მაგრამ მათთან არავითარმა მოლაპარაკებამ არ გასჭრა. „დირექტორმა“ ბ. ტაბურიომ განკარგულება მოახდინა, რომ სამუშევარზე ადგილობრივი მცხოვრები მიეღოთ, თავის განკარგულებას იმით ასაბუთებს გამგე, რომ ადგილობრივ მუშებს შეუძლიათ სახლიდან იარონ, რომლებსაც არც ბინა უნდათ არც ფიცარი, არც შეშაო და ეს განკარგულებაც, რომლენათაც მოსახერხებელი იყო, შესრულებულ იქნა კიდეც. უმეტესობას ქარხნის მუშებისას ადგილობრივი მუშები შეადგენენ. მოსულები კი ძალიან ცოტანი არიან. მიუხედავათ ამ ფაქტისა, აქაური ზოგიერთი ვაჭბატონები ავრცელებენ ხმებს, თითქოს მოსულ მუშებს უფრო ყურადღებას აქცევდენ და ღებულობდენ სამუშაოზე, ვიდრე ადგილობრივს. ამ პროვოკაციულმა ქადაგებამ შეიძლება ადგილობრივი მუშები მოსულების წინააღმდეგ აამხედროს და ვაფრთხილებთ ამ გვარ ვაჟბატონებს თავი დაანებონ ამ სამარცხვინო ხელობას, სანამ მათ სახელ და გვარებს გამოვამჟღავნებდეთ. მასთან კარგი იქნება ადგილობრივი მოწინავე მუშები აუხსნიან თავიანთ ამხანაგებს, რომ მათ და მოსულ მუშებს შორის არავითარი ინტერესს ადგილი არ უნდა ქონდეს და ნურავითარ პროვოკატორულ სიტყვებს ნუ აჰყვებიან.

**იანეულისეული.**

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე


# განცხადება

## თბილისშ საექიმო კაბინეთ იოხველისა

(„გაუფრთხილდით კბილებ“-ს ავტორი, ფასი 15 კ.) კბილების აქიმობა, ღრძილების, ძირების და პირიდან ცუდი სუნის. ხელოვნური კბილების ჩასმა. მიხილოვის ქუჩა, 124, კბილის საექ. სკოლის გვერდით. (100—21)

კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელი
გლეხთა ამხანაგობა
„კახეთი“
Товарищество крестьянскихъ кахетинскихъ винодѣл. садовладѣльцевъ
„Kaxetia“

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში, სასმელების დუქანში, ტრაქტირებში და სასტუმროებში.

10 ბოთლს ზევით უგზავნით უმთავრესი საწყობიდან ჩვენის ხარჯით მხოლოდ თფილისში.

По такому этикету продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

უმთავრეს საწყობიდან ღვინო დაეთმობათ შემდეგ ფასებში: (0—1)

№ 1 „ — 20 к. 16 „ — 3 р.
№ 2 „ — 25 к. 16 „ — 3 р. 60 к.
№ [illegible] — 35 к. 16 „ — 5 р. 10 к.
„ — 50 к. 16 „ — 7 р.

Адресъ: Тифлисъ, мухранская ул. д. № 18 Мухаилу Николаевичу Коаловъ д.

კახეთის მევენახეთა ამხანაგობა

# ხირსა

გახსნა ოლგისა და ბელინსკის ქუჩების კუთხეში ტატო გაბაშვილის შენობის სარდაფში.

იყიდება ნამდვილი კახური ღვინო ძლიერ იაფად ბოთლი —15-დან—30 კაპეიკამდე. (0—19)